



თეატრი ცეკვისძმა

1918 წ. № 10 ქვითა, ივლისი 7

ფასი 1 ბან.

უდინები მეექვე გამოცემის

ბაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს მთავრობის
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ ჩესტუბლიკა!
გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

„თეატრი და ცეკვისძმა“

წლიურად 15 მან., ნახერი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თიფლის, რედ „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ“, Йосифу Имедакшиვილ



კირიონ მეორე მონარქის მიერთმის დროის მეორე მონარქი (1855-1918)

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი (1855-1918)

(ინ. ამავე ნომერში 4 გვ.)



ქვეყნის პატრონინი უორდანია

უბატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო, ტყუილად არ უთქვამს ჩვენს ხალხს და აკი ამიტომაც იყო, რომ ჩვენს ეკლესია-ტაძარს სამშობლო, საქართველოს მრავალჯურის ეშმ. კი ეპატონებოდა,

რევოლუციამდე რუსის მთავრობა თვისი ათას გვარი გათახსირებული რო. ხელეებით, რევოლუცის შემდეგ - სხვა და სხვა ვითომდა სოციალისტები, მგლები ცხვრის ტყავში გახვეულნი...

და ამ ეშმაკთა პატრონობას, ნამდვილად ბატონობას იცით რა მოჰყვა? - მოჰყვა ისა, რომ, ხალხურად რომ ვსტკვათ, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს: ერთი აღთას, მეორე ბალთას გავიწევით, ძმა ძმას აღარ ინდობს, ერთი კუთხე მეორე კუთხეს, არა მკითხე გარდერები ნამდვილ მოქალაქეთ სისხლს უშრობენ, აგრე იგრე სოფელში სხვა და სხვა პარტიულისახელებით, უფრო ბოლმშევიკურ სახელწოდებით ქვეყნის ნაძირალებმა თავი წამოჰყვეს და ბრალიანუბრალოს მხეს უბნელებენ, სცარცვავ-გლეჯენ, გარეშე შინაურს ითხოვს, - აზამბყრელი თათარი გოჭის თავს მედავებაო, ხომ გაგიონიათ...

ერთი სიტყვით ის მოხდა, რასაც უცხო ენით ანარქია ეწოდება...

რათ იყ ასე? იმიტომ რომ ოუმცა მრავალი ჭირისუფალი გვყავდა, არც ერთი ნამდვილი პატრონი: ერთ კუთხეს მეორისა არ ესმოდა, ქვეყნის განაპირობა ნაწილს დედა ქალაქისა. ხელები, ფეხები, თვალები, პირი და ყურები რომ ერთმანეთს აუჯანცენ, განა აღამიანის სხეული იცოცხლებს?! ცხადია ვერა-ჩვენში კი გურიის გომიტეტი დალკე გამოცხვა, ლექხუმის თავისოვის ჟოკლო-ჩინობს, სომხით საქართველო ბუზღუნობს და ყოველი „ვაჭარი“ თავისებურად სწონის და ზომავს, ყოველი სოფელი თავისებურ გამგეობს... ვითომ მთ-

ვრობა გვყავდა, ერისაგან რჩეული, და მას კი წინ ელობდებოდენ. ანუ მის საქმიანობას წელშივე აჩლუნებდენ სხვა და სხვა ყაიდის მშართველი წრენი... ასეთ გაწამაწის რა უნდა მოჰყოლოდა? - ჩვენი უეჭველი დაღუპვა მტერთა სასიხარულოდ და აკი ყოველ მხრივ ცეცხლი წაგვიკიდეს, შინ თუ გარეთ...

ასეთი სავალალო მდგომარეობა ქვეყნისა ჩვენი ერის რჩეულმა შვილებმა ასწონ-დასწონეს მოსალოდნელი უბედურება გაითველისწინეს და ახალი საქართველოს სათავეში, ჩვენი ქვეყნის პატრონად ჩააყენეს ნოე-უორდანია.

ვინ არის ნოე უორდანია?

ვინც ანი და ბანი იცის, ვისაც საქართველოს დემოკრატიის ხსენება გაუგია, იმას ისიც ეცოდინება, რომ ეს ის ნოე ეორდანია, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე ქართველი ხალხის დემოკრატიის გამოფხიზლებას შესწირა, ახალი დემოკრატიული საქართველო შექმნა... ეს ის ნოე ეორდანია, რომელმაც ძელი თვითმშევრობელობის დასამხობად თითქმის მთელი 30 წელიწადი იბრძოლა და თუმცა მრავალი სასჯელი მიაყენეს, იგი მარც არ შეუდრიკა, ხალხის საიდეოლო აღმართული დროშა ერთხელაც არის ძირის არ დაუშვა და ბოლოს მანვე გამოცხადა საქართველოს თავისეუფლება - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ამიერიდან სრულიად საქართველომ თვისი ბერის საჭე ნოე უორდანიას მიანდო... მაშ დაე, ქართველმა ხალხმა და, საქართველოს ყოველმა ერთგულმა მოქალაქემ მხარი გაუმაგროს ნოე ეორდანიას მთავრობას და სწამდეს, რომ ჩვენი ჭაღარა მოსილი ბელადი ხრამში არ გადაჩეხავს.. მისი დანიშვნა ჩვენა ქვეყნის ახლი ხანის დასაწყისია.

გერმანია დ საქართველო

გერმანიის შემოსვლას ჩვენში თითქმის დუმილით შეხვდენ. ეს დუმილი არ შეესაბამება ქართველთა ფსიხიას. ჩვენი ბუნება როგორც ყოველთვის, დღესაც ამ გარემოებას მეტის ყურადღებით და ზეიმით აღნიშვნავდა. ასეთია ჩვენი სტუმარ-მოყვარეობის ზნეობრივი თანდყოლილი კანონი. მაგრამ დღეს რომ ჩვენ გერმანელებს შესაფერისად ვერ შევხვდით და ამ გარემოებას ზოგი ჩვენი მტრები თავით სასარგებლოთ გამოიყენებინ, აქ ეჭვი არ არის. ამის ნიშნები კიდევაც სჩანს, რის გამო გერმანიის წარმომადგენელი ჩვენს მთავრობას შევკითხა კიდეც. ვითომც ქართველებს მათი მოსვლა არ გვეპიტანვებოდეს.

ჩვენი სამშობლო რომ სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებისაგან არ შესდეგბოდეს და მათი განწყობილება ანტისახმიტიფონებრივი არ იყენება ჩვენი რესპუბლიკის მიმართ, მაშინ გერმანიის შეკითხვა ჩვენ ეჭვსაც-კი აღვიძრავდა და რუსის ტოტლებებს ძალაუნებურათ მოგვაგონებდა. თუმც გერმანიის რაინდერს და რუსეთის ერს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ ფსიხოლოგის კანონის გავლენას, როგორც აღნიშნეთ, ჩვენ ვერ ავიცილენდით. დღეს-კა ღრმად ვართ დარწუნებული, რომ გერმანელთა შეკითხვა იმ კაბინეტური ატმოსფერის გავლენის გამოა, რომელსაც ჩვენი მტრები ქმნიან ფარულად. და რომელსაც გერმანელები, გვწამს ადრე მიუხვდებიან. ქართველი ერი დღეს საკმაოდ მომზადებული და კულტურული მოაზროვნებია. მას კარგად ესმის, თუ ვის რა სარგებლობის ან ზარალის მოტანა შეუძლიან. გერმანელთა ღირსებანი, მისი კულტურა და ყველა ეროვნული პრობლემანი ჩვენთვის. სასიხარულო და მისაბაძი იქნებიან. თვით ჩვენი ერთგულება, რომელიც გამოვიჩინეთ რუსეთის და მის დაბალ კულტურისადმი, ამის დამამტკიცებელ ფაქტად ჩაითვლება. ჩვენ მოკეთისადმი კეთილი განწყობილება მუდამ რაინდულათ, პატიოსნურად შევვისრულებია და ღალატს ერავინ დაგვწამებს ვინც ჩვენი ახლომძღვანი და წარსული ისტორია იცის, ამაში დაგვეთანხმება და ეჭვი ვერ შეიტანს, მაშასადამე, ჩვენი სიტყვა მუდამ არარებს თვის ღირსებას თუ დაზღვეულმა ძალამ ან გაუცემდრობამ არ დაბადა მის შინაარსის ცვლილება. არა ერთო და ორი ქართველისაგან გამიგონია დღეს სინანული წარსული ბრძოლების შესახებ, როდესაც ჩვენებმა ქუჩებში გერმანელთა ჯარები გავლილი დაინახეს — თურმე, ესენი ჩვენი მშები ყოფილან და ჩვენ-კი ფრინტზე თავგამოდებით ვებრძოდითო. აი გულწრფელი ამოძახილი, ვიმეორებ ჩემის ყურით გაგონილი. ასევე ჰერმანის და ფიქრობს დღეს ყოველი ჩვენთაგანი და თუ ზნეობა არ გვებდალვის, ეს იმიტომ რომ ის მოვალეობა იყო მიტანილი სამშობლოს სამსევროპლოზედ. თუ არსებობს რამე გამთიშველი ძალა

გერმანფილობის წინააღმდეგ, ეს არის უშემსრულებელი გადაგვარებისგნით თავდაცვითი გრძნობა; რომლის მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, მინამ რუსეთის ბატონობის დროს. თუ რუსეთის მართმადიდებლობა ჩვენს გათქვეფას ადვილად ახერხდა, კათოლიკიზმისთვის ეს მოუხერხებელია, ვინაიდან სხვა ამას ხელს უშლის, მაშასადამე, ამ მხრივ გადაგვარება უზრუნველყოფილია. თვით გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენსა და გერმანიის შორის თავდებია იმისი, რომ ჩვენი გათქვეფა ტეხნიკურად აზვილი მოსახლეობებით არ არის, მინამ ეს იყო რუსეთის ასეთ მდებარეობის გამო. თუ მივიღებთ მხედველობაზი, რომ გერმანიის რაინდი ერი. როგორც სიტყვის ბატონი და რაციონალური მოაზროვნე, ვერ დაინტერესდება ჩვენი მოსპობით, მაშინ თავისუფლების დაცვაზედ ფიქრი მეტად მიგვაჩნია. მაშ ეს თუ ასე რათ არ ვიჩენთ ჩვენ მათ დამი ენტუზიაზმს? ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ჩვენი მდგომარეობა დღეს გამოურკვეველია და რას მოვგირანს ომის ღმერთი, არავინ უწყის, ჩვენ რომ ჩვენი გრძნობები დღეს ამ მოვლენის გაელინიდან გავანთვისუფლოთ და ენტუზიაზმი ხელოვნურად შევქმნათ ეს იქნებოდა ხელოვნური სიყალბე და სიყალბე-კი-ჩვენ ერს არ სჩვევია. მართალია ჩვენ გვწამს დღ დიდი ხანია გვწამდა გერმანიის გამარჯვება-ამას ჩვენს გაზეოვებში მათ მოსკოვამოზისაც-კი აღნიშნავდით, მაგრამ როგორ გადაუჩება ჩვენი არსებობა ამ შეაფლიო ცეცხლს, ეს-კი ღრმად გვაფიქრებს და ჩვენი ხვედრი ამ ცეცხლზე დამკიდებული ნათლად ვერ წარმოგვიდგინა. ამ გვარ ბურუსით გარემოცულნი მაინც მომავალს იმედის სხივით უყერებთ. შეიძლება კონსტანტინოპოლის კონფიგურციის გზით მონაბერი ატმოსფერა სასიმოვნო და რამოდენადმე ამ ბურუსის გამფან ტველი გამოდგეს და მაშინ ჩვენი გრძნობებიც, როგორც ბუნებრივი, ყველასთვის უფრო ნათელი გაზდება და ჩვენი ბუნებაც საეჭვო აღარივისთვის იქნება.

მუშა მიხეილ დევაძე

* *

* *

ჩვენში ვხედავდი ხეციურსა უცხო მშვენებას, გიშრის თვალებში ამომავალ მზის ბრწყინვალებას, ლამაზი ტანი მაგონებდა თლილ ქანდაკებს, ვით მორცხვი ია შენა ჰეგდი ციურ ჩვენებას.

მაგრამ მოვსტუცვდი ზეციურსა უცხო მშვენებას, ფერი ეცვალა, დაიბურა, ფარდა მიფარდა. და დაემონა სილამაზე, მაწიერ გრძნობას სხივი მზეს მოსწყდა და ბილილა ბალში ჩამჭკნარდა!

ზაირა

მარტყოფის ტრაგედია

კირიონ კათოლიკოს-პატრიარქი

1918 წ. თბილის 26 მარტყოფის მონასტერში
საზარელი საიდუმლო ამბავი მოხდა.

წინა დღით დასასენებლად აბრძანებული სრუ-
ლიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონი
ამ დღით თვის საწოლში ჩევოლვერის ტყვიით გულ-
განგმირული იხილეს.

ერთნი ამბობენ: ვეღარ აიტანა ზოგიერთ სამღ-
ვდელო პირთა გაიძევერიბა-ქვებულანბა და ოვითონ
მოიკლა თავით, მეორენი—სხვამ მოკლა (ზოგი ფლა
ნგია ბერებს აბრალებენ, რომელთაც ანგარიში მოს-
თხოვა, ზოგნი ჩევნი ერის მოძღვებს, ზოგნი თვით
კირიონის მტერ-მოყვარეთ).

ვის ხელსაც უნდა ჩაედინა ეს საზარელი საქმე,
მომხდარი ამბავი მაინც ჩევნი ერის ტრაგედიას მოწ-
მობს, —ჩევნი სულიერი და ხორციელი ყოფა-ცხოვრება
განსაცდელშია ჩაჰერა ლამპარი, რომელიც ჯერ კიდევ
რუსის ტყვეობის დროს, მრავალ გზის ნაწამები, საქარ
თველოს უნათებდა და მონაბაში მყოფ ქართველ ერს
აღთქმის ქვეყნისკენ მოუწოდებდა; ჩაჰერა ლამპარი რო
ლის მსგავსი იშვიათად აღინიერა საკუნიდან საუკუ-

ნები ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი-მღვდლმამა-
გარი, არამედ უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო მოლ-
ვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი.
ამას მოწმობს მისი შრომანი და მოწამეობრივი ცხვ-
რება-მოღაწეობა.

ფრიად სამწუხაროა, ასეთი დანაკლისი: თუ გარე
შე მტერთ მოუსპეს მას სიცოცხლე, ვაი მათ, რამეთუ
მსხვერპლი ესე უნაყოფოდ არ ჩაივლის მტერთაც ხაგ-
მირავად, ხოლო თუ ვინმე ჩვნიანმა შეიმაღლა თვისი
ბინძური ხელი, დიდათ ნაამაგდარ ადამიაზე, ვაე ჩვენ
სულიერ დაცემას!..

ერთი-კი ცრადა: საქართველო მხოლოდ დიდი
სისხლის შეწირებით აღსდგებოდა ხოლმე წარსულში და
დღესაც ასეა: დიმიტრი ყიფიანის თვის გაჩერებას მოჰ-
ყვა ქართველთა თვით შევნება, ილია ჭავჭავაძის შუბ-
ლის განგმირვას-საქართველოს დაქაქსულ მამულიშვი-
ლურ აზროვნების განმტკიცება, ხოლო სულიერი მა-
მის კირიონის იდუმალი ტყვიით განგმირვას უნდა
მოჰყვეს ჩვენი ერის სულიერად განსაკურავება და კნე-
ობრივად ამაღლება. თუ ეს მოხდა, —და მწამს რო
მოხდება, —მაშინ არც კირიონის უდროვოდ დაკარგვა
აგავცემს...

ხსოვნა მისი მარადის ნეტარი იქნება და ქართვე-
ლთა მექსიკერებაში იშუქებს!..

იოხებ იმედაშვილი

* * *

მსურდა გულში ჩავკროვი სამშობლოს ბალნარმდელოს,
თვისისუფალ ქვეყანას — ჩემ სატრაქო საქართველოს;
მტერთა თავზე დამცემსა, ძევლთაგან სასახელოს,
საამაყოს, საგმიროს, წმიდანთა სამშოცველოს!

მავრიამ დღეს დაქაქსულსა მტრისგან ალყა-ზემორტყმულს,
შინ-ურ-გარეულოთგან, ყველა-სებნ ყბათ ალებ ცს
საუკუნის ტყვეობით თავ დახრილს, დაღუმებულს,
დღეს ჯაჭვ ასნილს, მაგრამ თვით მკაფიო შეილთაგან წმებულ! —
ძმა ძმაზედა ხმალს იღებს, ეს რა მოჩენებია?!

თუ კვლავ გრიხო სავსი რამ დღეც ნუ გამოენებია, —
მოძმის საკვდილით უნდა მოიგერონ მტრებია,
ბამშობლოს მოამაგეს სხა ანკი რა რგებაი...

ვი, მას ვინც თავის თავს თვით ვერ ებატონება,
ბავშურ ქინით დაქაქსულს სხა დაეპატარონება. .

დარო აზშლელიანის

საჭიროდ გსთვლით მოვიყენოთ ნიკო თავდეგირიძის სი-
ტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო მოქაში გიორგის
დასაფლავების დღეს 25 ს თებერვალს.

ნიკო თავდეგირიძის სიტყვა

გიორგი სარგამიძის დაკრძალვაზე
, საუბედუროდ ჩვენდა ამ ბოლო დროს გაერცე-
ლებული ცალ-მხრივი შეხედულობის გამო ადამიანის
დანიშნულებაზე, პირადობას ჯეროვანი ყურადღება არ

მიორბე მოსალისე შეკვეთი

სოხუმში 1918 წ. თებერვლის 19 გარდაიცვალა
მაბაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერევაშის
შვალი გიორგი. გიორგი შერევაშიდე ჩვენში ცნობილი
იყო, როგორც ლიტერატორი, ნიჭირი მოსანი და ორი-
გინალურ დრამატიულ ნაწარმოებთა მწერალი: მას ეკუ-
თვნის „მომაკვდავი სურათები“, „გიორგი მესამე ისტო-
რიული დრამა და სხვა ბევრი, რომელიც ჯერ დაბეჭ-
დილი არ არის. ამ შესამჩნევი პიროვნების გასაცნობათ





აქვს მიქცეული, მაშინ, ოოდესაც მსოფლიო ისტორიის მსკულობაში, განსაკუთრებით კი ჩვენისთანა პატარა ერების ცხოვრებაში კერძო პიროვნების ღირსება-ძლიერებას დიდი და ჩსირად ბევრის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შენს ბუნებრივ მომზიდლავ სანდომიანობას, გარეჯულ სილაპათე—შნოს, პლასტიკურ მიხვრა-მოხვრას რომ გვერდი აუცილო, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაზე, მით უმეტეს, რომ ის ამტკიცებს იმ საზოგადოების ხანგრძლივ სულიერ ვარჯიშობა—კულტურას, ოოდელსაც შენ კვთვნიდი, შენ შესანიშნავი იყავი ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სულიერად ძლიერი, ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ — მისწრავებათა მაღლა მდგრმი პირადობა. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ შენ ერთად ერთი გამონაკლისი, მაგალითი იყავი მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალ რიცხვან მთავრების მექვიდრეთა და უმაღლეს არის ტოკრატის წევრთა შორის, რომელმანც ქედი არ მოიხარე, მცირელდნადაცა არ დაიტკრი ლირსება შენი ერის მხაგრულ, შენს ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მართველობის წინაშე; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა შენი დროის და შენი წრის ოჯახობა დიდ ბენიერებად და სოცენტო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც შენ ზიღლით უარ-ჰყოფდი, ვინ არ იცის, თუ რამდენ მსხვერპლით და ტანჯვა—წვალებით მისწრაფოდენ ყველა ჩვენი არისტოკრატის წევრნი სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ, შენ კი ყმაწვილობიდან გვიჩიდებოდა ყველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომინარეობდა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის უმრავლესობის შეგნებაში ხელმწიფის ყურადღება—წყალობა რაღაც მუდმივ სანატრელ საგანს შეადგნდა, შენთვის კი განსაკუთრებული შენი თვისებების მეოხებით ეს ბედი აღვილად მისაწვდომი იყო, მაგრამ შენ იმ ღროს ჩვენი ხალხისათვის გაუგებარი, დღეს კი ყველასათვის ცხადი მიზეზის გამო მედიდურად და ამპარტავანად უარსპობდი ყველა იმ სიკეთეს, რომლის მოპოვებისათვის სხვები მსხვერპლად სწირავდნ თავიანთ, ადამიანურ ლირსებას.

იმ დროს ბევრი გაგინებდა, შენს ნაკლულევანებლად, დანშაულებად სთვლიდა, ამ მოვლენას: დახეთ გიორგი შერაშიძეს შეუძლია ხელმწიფესთა დაახლოევ-ბული კაცი იყოს და ის კი ისე აწყობს საქმეს, რომ და-შორდეს მასო; ბევრს დასახას საქაუელად მიაჩნდა ჩვენში შენგან წყრომით, ფლიგელ-ადიუტანტის თანამდებობაზედ უარის თქმა: რაცა ხელმწიფე ალექსანდრე მესამე ჩვენში ჩამოსელის დროს სხვა რევოლუციონერებთან ერთად ქუთაისიდვან გაგზავნება, როგორც ხელმწიფისათვის არა საიმედო პირი, შენ ირონულად მიწვერ ხელმწიფეს: რაკი თქვენი მთაერობა იმდრენად არ მენდობა, რომ თქვენი ჩამოსელის დროს ჩემი სამშობლოში ყოფნაც-კი სასაშიროდ მიაჩნია, გთხოვთ ეს სასახლის წოდებაც ფლიგელ-ადიუტანტობაც ჩამოსართვათ.

ერთა ვიკიოთხოთ: ბევრი ეხლანდელი რევოლუციონერი გაბედავდა იმ დროს ასეთი აზრის გმოთქმას? დიდათ საეჭვა ისეც, რომ რამდენიმე კაციც გამოჩენილიყო ისეთი, რომელიც უარს იტყვდა ყველა იმ უპირატესობაზე, რომლის მიღება, შენ შეგეძლო და არ ისურვე. ამ უამა-კ-რევოლუციონერობა იგივე ტახტია, რომლის წინაშე ბრძოლ და სულით უძლიერი ქვეც იხრის და რომლისაგანაც უმრავლესობა გამოელის ყოფელივე ამ ქვეყნიურ საკეთეს, შენ სულით რა-

ნდი იყბვი და შენ ბუნებას არ შეეძლო ასახავთ უკუკული რა მნიშვნელობა შენდა შენს ასეთს გუბისულების ჩვენს ცხოვრებაში? მარტო ქადაგებით კიარ ვარჯიშედება ხალხში ესა თუ ის აზრი მიმართულება—არამედ მაგალითიდ, შენ პირველმა შეარყი, შეისტერ ჩვენს წოდებაში ტახტის სიყვარული და ერთგულება, შენი ძაგლითიდ სარგებლობა, იწრთვებოლდა მოვლი რიგი ხალგაზრდობის, რომელიც იყლით ნამდვილი რევოლუციონერები ხდებოდნენ:

მეორე დიდებული მნიშვნელობა შენი ჩვენი ცხოვრებისათვის ის იყო, რომ შენ პირველმა ასაიი, აღა-ლე მაღალ წოდებაში შეგნება და პატივის უკავება საზოგადოლ კავკასიელ ერებისადმი: ამ ოცდაათი წლის წინედ არა თუ უცხალ ლები, ჩვენებული განათლებული ნაწილიც საზოგადოების რაღაც სიმრალული თვალით უყურებენ, მაღლითან ასცემეროდნ ჩვენს ერჩ, აისი მნიშვნელობის შესახებ ბასიც სცხვნოდათ, ჩვენში განიგრებული მაღალი, საშუალო და წვრილი მოხელეებიც ხომ რაღაც დამიტანები კოლოთ ლაპარაკობდენ „ტუშემცებზე“ მაგრამ შენ პირველმა აღა-ლე მრისანედ ხმა შენი დახაგრული ერის ღირსების დასაცველად: ბევრმა წარჩინებულმა მოხელემ და დიდებულმა პირმა იგემეს შენი სასტიკი წყაროა და ხშირად ფიზიკური ძალაც ჩვენი ხალხის და ეროვნების უდიერათ მოხსენებისათვის. თამამდ შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვისმეს უპარივცემულოდ ეხსნების შენთან შენი ერო და მას დიდი ხნით სანებლად არ დარჩენდეს ის; შენმა ასეთმა კეთილშობილურმა ხასიათმა ის სარგებლობა მოვგიტანს. რომ ბევრი ჩვენი ხალხის ჩოხალეც-კი შეეჩია მოკრძალებით ლაპარაკს ჩვენში. (დასასრული იქნება)



ნინო ჩენიძე

მისი გასტროლების გამო თბილისში

გ ლ ე ხ ე ბ ა

გლეხი გასტროლება წელშია,

აღარ ამძიმებს უდელი;

აღარც ჯ ლ ა თ ი, მესისხლე,

მტარვალი დაუნდობელი;

არც მებამულე ბატონი,

ჩარჩი, წურბეგლა—მწოველი,

თავისუფალებას მოესწრო,

გახდა ბედ სა ქსოველი;

მაგრამ, ვაი, რომ ჯერ უველას

ვერ შეუვენია უფლება.

მტერსა მოყვარედ ისევ სთვლის,

მოყვარეს მტრათა უხდება;

და მით ბორკოლებს კვლავ იჭედს,

გახრმა წუმპეში იფლობა.

ფრთხოლათ, გლეხებო, თორგმა

წაგვივა თვისუფლება!..

მუშა მის. დევაძე

მწვერვალები

რეერთი ხანია ფფიქრობ გავიგო: ჩად სტი-
რიან ყვავილები ღიმ-ღამით, რას ასცრემლე-
ბიათ თვალები, რასა სხივიან?.. ან რას გაჲყუ-
რებენ აღმოსავლის კარს?.. იმედით რას გაიყუ-
რებიან წყვდიაღის ზოდებით ამოყორილს აღ-
მოსავლისკენ?..

ასევე მსურს გავიგო: რისთვისა პირთის
ჩემი სნეული გული დილის მომლოდნე?.. რა-
ტომა სთხიავს იგი ერთად-ერთ ზღაპარს სუ-
ლის მარალიულ ტრფიალებისას? რა აქვს სა-
ტრფიალო?

აი მე დავკარგე მეგობარი... მე აღმარა მჰ-
ყავს მეგობარი, მაგრამ საღლაც უკრავს ჭიათუ-
რი და მე გული სიამთ მევსება... მე ცრემ-
ლების მეტი აღარა შემჩნენია რა, მაგრამ გა-
რედ ყვავილები იშლებიან ჯა მე მიხარიან... .

მე იმდინ უფსკრულში ჩაემარხე... უფს-
კრულში დაწმუნდებ ცრემლ ამომშრალი, მა-
გრამ იქ. მაღლა მ.ისხინს წერწეტი ცაც მიბჯე-
ნილი მთა და მე მიხარიან... მიხარიან იმიტომ,
რომ მიუხდავად ჩემი დაღუპვისა, უფსკრულში
დასამარებისა—მაინც არსებობენ მწვერვალები.
მართალია მიუწვდენელი, მაგრამ მაინც დამა-
ტყვევებელი მშვენებით მოსილი მწვერვალები... .

დ. თურდოსპირელი

ლურდვალი.

ადამიან ის თვალი ძნელად, თუ უკეთეს სა-
ნიხა-ბას ნახვდა გაზაფხულის საამური დილა,
ამწვანებული ველ-მრნდვრები, ათას ფერად აფე-
რიდებული სხვა და სხვა ყვავილ-მცენარებით,
სადაც ნაზიდ უბერავდა გაზაფხულის ცელქისით,
ადამიანის დამწუხრებულ გულს რაღაც შვებას
ანიჭებდა. ლივერილვან უაზე მოკისკეთ თეთრია
თხელი ღრუბლებიდან ნაზად ჰყენდა მზე არე-
მარეს თავის მაღლიან სხივებს. წყნარი იყო და
ადამიანის მომჯადოებელი თვით ბუნება, მაგ-
რამ ჰღელავდა კაცობრიობა. გამძინარებულ
ბუნების სტიქიონის დრა ს ვით ადამიანნი გი-
ნაშვიან და გოცცებული შესცემრის ულმო-
ბელ სტიქიონს, აგრევე ახლა თვით ბუნებაც
თითქმ მისცემოდა განცვიფრებას და უნდოდა
გმოცნობა იმ მიზეზებისა, რომელს მეგანაც ახლა

კაცობრიობა სტიქიონად როთმანებს მარტინის გამოსახულებული იყო. აგრე
ტყის პირის მორავრია ცავი ნაკადული, სა-
დაც დასასვენებლად და წყლის დასალევათ მა-
ვლიდ დამსხდარი იყვნენ ლტოლვილნი: ქალ ნი და
კაცი მოხუცნი და ახალგაზრდანი, ძუძუ მწო-
ვარ ბავშვებით. რამდენადაც ადამიანის მომხი-
ბვლელი იყო ბუნების სილამაზე, იმდენად გუ-
ლის მომკვლელი ის სურათი, რომელს ცლტო-
ლვილნი წარმოადგენენ, შეუძლებელია იმის
აღწერა: ზოგს ქმარი და კარგოდა, ზოგს ცო-
ლი, ზოგს შვალი, დედა, მამა, ძმა და ეს
ზენაგანი მათი სულის განცდა, ნილელი,
აღბეჭდოლი მათ სახეზე; მათი მწუხარება თვით
ცაბდე სწვდებოდა. შიშველი ტიტელნი და მში-
ერნი სასოწავლებელი მისცემოდნენ. ცხო-
ვრების უკულმართობაზე ზოგნი რას ამბობინენ
ზოგნი რას, მაგრამ ერთი კისერთო აზრი ტრი-
ალდება მათში: ყველა გრძელდა ამას, რომ
ისინი იყვნენ სხვების საკუთრება, რომელთა
წყალობითაც ეს უბერავდება დაატყდათ თვეს
და, რასაკვირველია, ისინი ასეთ მწარვალებს
ზიღლით ისენებდენ და თავიანთ გაჩენის დღეს
მწყევოიდნენ.

ოოტა დასვენების შემდეგ ისინი კვლავ
გაუდგნენ სა შეცობო გზას, მხოლოდ ერთშე
დედაბერმი ველარ შესძლო სიარული, სიმშილის
გამო, იქვე დარჩა და-ლონე შიხდილი ნიკადუ-
ლის მოშორებით წამოწვა. აი ბუზი, რომელიც
მისი წინ ცელქათ დამფრენს და დედაბერს ხან
სად დააჯდება ხან სად. საკოდავი დედაბერი
მას შენს თვალით გადაპევდას და ლონე
მიხდილი თავის გულში იძინის:

,,ოხ, ნეტავ ნენ, ბუზო, დაჲტარენ თავის-
უფლებდ და სტკებები ბუნების წალში, მე კი უბე-
დური რათ გავჩნდა იმ ქვეყნად, თუ ასე მწარე
ცანჯვით გავლილი ჩემი სიცოცხლის დღეებს?..
განლამ ჩლობე.





წერილი

,დაახებეთ?!

სწერდა გიორგის მარქას:

დაახებეთ, მერე ასე და ასე შეუმჩნევდად, ასე ურც ხვად?.. მერე და აადა შეინარჩუნეთ?..

ეგ ხომ თვალების დათხრაა..

ახ, ხეტა არ მენახს! ხეტა, არ კამი ივე თოდოდი..

აა, ეკლესიანებან საძგურზე რო წეველით:

მამაშენია, ის კი აა არის, არც-კი კამოგვარდ-და, გაბრაზდა; ჩემის მშობელის აკტომ რესულად ალასრულებისა მდვრელს ჩვენი ჭრიწინების წესი..

აა, შენც კი იყვანი გაბუტყვლი, მაგრამ...

კახსოვს, მარტონი ვისაგით კუპეში, დილის დიურაჟმა კამოგვარდა, შენ ვანჭარა გააღე, მე გა- ვიხედე და, დმერთო, სამორხეში ვიგრძენი; თვალ- წინ გარდა მალა:

ამწანებული და აყვავშული მიდამო. მერე და იშის შემდეგ, რომ თბილისში ჯერედ ბაზაზიც არ იყო; თვალგაუწველებული შავი ზღვა, რომელიც ირ- ხედა და თავის სმარტობით რაღაცა უცნაურობას გვამცნებულია. აგრ, მორს რადაც შავი წერტილი მო- ჩანს, თანდათან იზრდება... მაგრამ ეს ხომ ადამია- ნის ჩა შეგძული გემია, რაიც დამავაწეა წითლად გა- შუქებულია ზღვის პირში... ამოცურდა, ასე შეგო. ჩა ზღვაშ წარმოშევათ, ამორნათ მზებ და დააფინა ზოდებათ სხივები, რომელებსაც ზღვა ლტოლებათ აფ- რადებდა, თოთქო ანებავრებისათ, მით გეგდუცობს, ხარობსთ..

სადამის, როგორც დამშირდი, ბათუმიდგან ხავით მოველით თამარის ციხესთან და, როც ხაპარას გადაედით, აუწერელი სიამოენება ვიგრძენი...

— სამოთხეა, სამოთხე!-წამოვისხე და აგრახცანდი.

— დასხაც სამოთხეა და მერე შენთან...-შენ მა- ისარ, მიმიზიდე, მიმიკარ თვალების კოცხით.— თვა- ლია, თვალი საქართველოისა...

საქართველოსი? საქართველოსი-კი აა ჩენია, რუ- სეთისა, რომელმაც გიხსნით! უძლეველ რესეთისა...

— აა, იყო საქართველოსი, და იქნება საქა- რთველოს...

შენ მეუბნებოდი, როცა კი ამაზე ჩამოვარდებოდა დაპარაკი; რაზედაც გალოდასთანაც დაპარაკი მოგ- დიოდა..

მაგრამ, ხომ ხედავ, უჩემთ ბათუმიც, თვით თვალი თქვენი საქართველოისა ვერა, ვერ შეინა- ჩუნეთ! ვერც შეინარჩუნებოთ.

თუმცა ხანდისხის მეც ვირევდა უაქტურ ცხვლი ქობაში... იყავით ერთხელ! ეს ხომ უაქტურ ცხვლისა არა, თუმცა ისინიც რუსებს ეხვეწვებოდნენ...

გალოდია ამბობს; ეხლაც ეგ და ემარებათო... ჩვენი ტუსები მიდიან; ან და რაუნდათ, აი, ეხ- ლა-კი თქვენი საქართველოდნები...

გალოდია, ამ შემთხვევით მაღლიერია, რომ მე დამიუღლია, დამიხებია...

გალოდია, შენი ხამხანგარი, მიდის თავისუ- ფალ საქართველოდნება...

მეც მიგვებია.— მარქას,

ს. ბლახაშვილი.

ლღეს სხივოსან ბაზავხელი

დღეს სხივოსან გაზაფხულზე სუნთქვას ტუროა შვა- ვილო დალა, განვდილ წამის მრისხანება მზის დიმიდით და-

ისხდილა. ცის შემთხვევით ხარჩების მთის ხიავა ერევება.

და სიცოცხლის სახეს ცების ავით სიკედლის ქანდაქება.

და არწავოც დაისრული ძირა რომ დაფოფხავდა, გერასიკნელ სისხლის წევთი მწანე მდელოს უხეხილ რწევადა,—

დღეს ჭრილობით განიგურნა, გაისწორა მძლავრი ფრთები,

კვლავ თამასმაც ისხულა საუგარელი ცივი მოები... რა მეინგარის თერთი თოვლი მიკარა მებრძოლ

გეღძე, კვლავ დაჭირება ჩეულებრივ თავისუფალ გაზაფ- ხულე...

შეაცვალა ფირთი ჩემიც. შემეცვალა ლექსთა კალო; დღეს სიძლერა აღას შეების ჭამზე სათავილო.

მოვიწინდე თვალზე ცრემლი, სეგდა ლხენად შევ- ცხალა

და სხივოსან ტკბალ გაზაფხულს ეფთხის განცდა განცდაცა.

და მაღლდი ჰერ, გულო! მტერმა აღარ გადაგმელის, ძირს დამხე გინც რომ ლხენა წაგართვეს და აგ- რძელებოდეს!

და დღეს როცა მტარებალ ბინა ცეცხლის გრობ- გლით დაირთეს;

აუ ასწიე, შენ თამასმაც გამარჯვების სისხლის დროში!

გაიხარე!.. მტარე ხარ დღეს სხვა ფერად წამებისა:

და აგრძელება ნეტარების და ნეტარად წამებისა!

მიქელ დანელი.



ტ რ ი ტ ლ ე წ ვ ა ზ ა ს ა ლ გ ა ს ა მ ა

ტ რ ი ტ ლ ე წ ვ ა ზ ა ს ა ლ გ ა ს ა მ ა

აქ ჩემს გარშემო დაღვრებელი ტყე ტანშიშველი,
ნისლის ლეხაქით დაბურული აქ კარმიდამო,
აქ სულ ნორჩ ტოტებს დილით ამტვრეც ფეხწვრილი შეელი,
აქ ჩემს გარშემო დაღვრებელი ტყე ტანშიშველი.
აქ მარტობით ჩემი სული მინდა ვაწამო,
დაჭრილ სამშობლოს, მე უძლეური, როთი უშველი..
აქ ჩემს გარშემო დაღვრებელი ტყე ტანშიშველი,
ნისლის ლეხაქით დაბურული აქ კარმიდამო...

ჩემი სამშობლო, გათელილი მტარვალთა კვერთხით,
კვლავ იკრებს ძალებს, ფრთებ შეჭრილი, გულდასერილი,
თავისუფლების მოტრფიალე აღსდგება მკვდრეთით
ჩემი სამშობლო გათელილი მტარვალთა კვერთხით!..
და მეზობელთა გულადობით მუდამ დევნილი,
არვის იმონებს, და არავის ეგება ფერხთით,
ჩემი სამშობლო გათელილი მტარვალთა კვერთხით,
კვლავ იკრებს ძალებს ფრთებ შეჭრილი, გულდასერილი.

სატრფოვ სნეულო, შენი სახე თურმე დამდნარა,
და მუქ თვალებში გაყინულა აზრი გრძნეული;
მე კი იქ შწყალობს გზაფხულის სუნთქვა ნარნარა,
სატრფოვ სნეულო! შენი სახე თურმე დამდნარა,,
და ოუმც დაგშორდი ღელავს, ბოდავს ლურჯი რვეული,
უძალო ღამით, შენზე ფიქრით ფიქრი დამწვარა,
სატრფოვ სნეულო! შენი სახე თურმე დამდნარა,
და მუქ თვალებში გაყინულა აზრი გრძნეული

მარიჯან



ნესტორ მალალაშვილი და
პოდპ, გერმანიაში ქართული ლეგი-
ონის ერთი შემძეველობანი, საქარ-
განთავისუფლების კომიტეტის წევ.



გიორგი კერესელიძე
გერმანიაში, ქართული განხილის „
რედ-გამ. ქართველ ტყვეთა საქმის
გამგე, საქარ. განთავ. კომიტ. წევრი



სოლომონ გადაშქორია
ასოთამწყობი, ძველი მთავრობისგან
პოლიტიკ. დასჯილი, | გერმანიაში
„ქართული განხილის“ ტენ. მომწყ.



გვარდიელი კანდელაკი
ბორჩალოს ბრძოლაში დარღვეული.

COGOM
SIOOTV

გიორგი ვალ. პლეხანოვი (18 — 1918)
 რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის დამარსებელ მამა-
 მთავარი, სამშობლოდან დევნილი, ნიჭიერი მწერალი, მრა-
 ვალმხრივ განვითარებული, მარქსის მოძღვრების საუკეთესო
 მცოდნე-გამაგრცელებელი, რუსეთის მუშათა ხელმძღვანელი,
 გარდაიცვალა ივნისში 1918 წ.

შევღეთით აღმოჩე

ეროვნული
 მემკვიდრეობის

საფლავის ჩურჩულს ჩაექსოვა ბედის სირტ მისრადა,
 დელფინ გაღვიყდა ცეცხლობი მომავლის ბრძოლა,
 შეკით დაირსა ცის ფარები; ეფტხის ფათლები,-
 და მოეფხდა მთის უფაფილება ბრძოლის მძიება!..
 და ახებჩებდა საიმედო წევრი სიცოცხლის,
 შეკრთა მეჩებარი და აენთო ტალღა იმედის,
 და ცივ უფსკრულში, მიწის ფუქრში გასჭედა შეგბა,
 გული გაუდო განწირულებას, ამწხო დღის გზება ..
 და აღსდგა იგი, აღსდგა ქვეყანად ჭეშმარიტება,
 და მხო შერი, მცრობა სისხლის და ბორიტება,
 და ააღმასდა სიყრცის ველზე ცისკრის უფაფილი,
 და მოს გაისმა მძლე სიმღვრა, ძმათა ძხილი...
 და მისრით, რომ საშმაბდო ჩემიც აღსდგება,
 ცრემლებს მოიწმებადს და მზის უწარხულს შეუერთდება
 მოძილობის ჩემთ მთელ, მშობლიურ მხარეება.
 ნუ მოგწეხნა, გაიხარე ჩაგრულთა არე ..

და სხივი მთხიანს, ცეკვას, ორთოლავს, მეაღვენსება
 მთხიანს ციების აღთქმის მხარედა ტალღა თვრება,-
 დოქს აღდგომაა სიქართვეულის დიდ ჭირ ნახელის,
 დღეს მზე ზეიმიბის, შექი კრთვები მწერე გაზაფხულის.

ს ტაიფუნი



**

თავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა,
 უჯამურობა წარსულში პქრება
 და მტერი ერსა, წ პორკილ აყრილს,
 ამაოდ უტევს და გმუქრება;
 გმირმა ხან ძლივი ძლი დასტოვა,
 ქართველის ერის დროშა პფრიალებს
 და აწ სამშობლის ტურფა მინდოორ-ველს
 მტრის ფეხ-ველარ გაატიალებს!..

ა. ახაზარია

შიხელ კვაძე
 ქართულ ქრონიკულ გუნდის ლიტერატორი,—
 მისი კონცერტების გამართვის გამო

ქორწილი

ალექსანრის სამ სანახაობად.

გაგრძელება, იხ. „თ და ც.“ № 9.

(ჭავეური შესწევება გარედან მოისმის:

ვაშა, ვაშა, გენაცვალე,
ჯან! აფერუშ! გამოსცალე!
(მოისმის სიმღერა)

აღმას. (ჭავეური)

მშეო, მშეო გადმომხედე,
ლრუბელს ნულარ ეფირება,
შენ ხარ ჩემი სიცოცხლისა
დასაბამი და კარები,

შენიო ვსუნთქავ, ძალო ვიკრე
უშენოდ მკვდარს ვედარებავ!

(აიგანზე მყოფი გარედ უკურგიან, ნაჟედი ვახ-
ებული გამოჩხება სტუმრთ შორის და მომღერ-
ავსგენ გამღერება)

გნ. სიღან (გაჭვირებული)

მოდის ალმასხან გახარებული,
ვითარუ მხედარი გამარჯვებული;
ნეტავი ბედმა რით გაუცინა,
რო მოყელყელობს ბოტივით წინა

(ხმა გარედან) ვინც მოვიდა გაუჩარებო.

ღმერთმა ხელი წარუმართოს!

აღმას. (შემოდის ეველანი გაოცებული, ნა-
ჟედა გახარებულია)

გამარჯობათ აქ მბრძანებელთ,
გამარჯვებით გეახლებით;
ძლიერ ჩემს ოჯახს დავემკვიდრე,
აღარივის გერიდებით!

გნ. სიღან. როგორ ოჯახს?

ტიტ. სიღან, სადა?

აღმას. სულ სხვა ძალა დაიბადა
ამ ოჯახში დღეიდანა.

რომ გაგიხდეთ უკელის გხალა.

სიღან. პირდაპირ სთქვი, რას გვალოდება?

ტიტ. ნეტავ ერთი რას აბოდებ
ნაციხარო, ციმბირელო,
დაუდგომელ-საკიცხველო!

აღმასხან. შენი სიტყვა, კნიაზ ტიტო,
რაც გინდ თვალი დამაჭვირო,
სრულებით არ გამჯავრებს,
და უფრორე გამახარებს...

გახსოვს, ერი ხელ მუშავი ცნობები
თხოულობო შენ უძრავი მოვალეობა!
ვინა ხარო? გლეხის შვილი,
უსწავლელი არა წრთვნილი,
არც ქონების პატრონიო,—
რომა გყავდეს გამგონიო!
შენმა სიტყვამ გამაფხიზუა,
ზე ამწია არ ჩიმწიხლია,
შენთან არ მაქვს საჩხებარი,
და არცა მსურს საუბარი!

ნათელა კიტებე ჩამოთარების. აღმასხან მააშერებს.
ისაგებებლად.

აპა, ჩემო სულის სწორო,
დროა, თვალი გამისწორო!
ვაკრობაში გავიმარჯვე,
უულიც დროზე მოვიმარჯვე,
და მაული შენეული,
დამრჩა როგორც მამეული.
აპა, მისი დამტკიცება,
შენ მოგარიცე ვით დიდება
შენი ჩემდა სიყვარულის—,
ცრო დაგიდგა სიხარული...

გადასცემს მამულის ხასეიდობას.

არამი. რომელიც საერთო ხმაურო? ით აიგანზე
გამოხსენება, შეშეფთებილი)

დავიბანე ნუ რუ ხელი?
სიღან. გამომექრა ნუ თუ ყელი?
ნათელა მოგელოდა დღემდე თვალი,
გამიბრწყინე მომავალი,
ჩივექსოვოთ სულია სული,
რომ გაშუქროთ სიყვარული..

ხელს გაუწვდის. აღმასხანი მეტრდს მიიღრავს.

ნიკოლ. როგორ ჩემი მოთმინება
ჩემივ მახე შეიქნება?!
კმარა ესდენ ხუმრობანი,—
უკუღომა, დათმობანი.
ნათელ-ქალი ჩემი არი,
მისთვისა ვარ გადამკვდარი!
თუმცა, გლეხო, არ გცნობ ტოლად,
მანც გიწვევ ხალში ბრძოლა!
ვისაც ბედმა გაულიმოს,
ქალიც იმან მიიკუთნოს!..
აღმასხან ახედ-დახედავს.
მოკვდეს შენი ალმასხანი,
თუ დაკარგოს დრო და ხანი!

ტატ. ქერქში ჩადექ მოთრეულო,
გაგვეცალე შე წყეულო!
სიღონ. ვაჰე, ოჯახს შემიპილწვენ,
ნათელა. ვაჰე სისხლსა და ანთხევენ!
ნიკოლ. ხმალში, ხმალზა დედაბერო,
ხმალი გულში დაგაძერო!

ალმასხან (გამოხტება ხმალ და ხმალ)

ნუ თუ ჩემი ბედის წერი,
მოკლე ხნობით დიოწერა?
მოდი, მოდი აბარგულო,
სხვიგან სხვაგან დაკარგულო!

ხმალ და ხმალ შეიტაქებიან. ნიკო მოუქნევს ალმა
ჯლისხან მარჯვედ და ცემიტად აბდევნს და მძღავრად
მახეში ჩასცემს. ნიკო შეტორტმანდება და წაი-
ქცევა.

რუს ბენ. ვაჰე, შეილო, დაღუპულო,
ვაჰე, სიკოცხლევ დანაცრულო
ნიკოლოზი (მომაჟედების ხმით.)
დაგრჩა ძალო, გამარჯვება!

არაში (თავისოვების.)

აქ არს ჩემიც დამარცხება..

(ნიკოლოზის ხელით გაიტანეს.)
პმ, სასწორი გადიხარა,
მეც არა მაქეს მეტი ჩარა,—
ვისაც დარჩა გამარჯვება,
ჩემი გულიც მას აჭყვება!

(ალმასხანის.)

ალმასხანს გაუმარჯოს,
ღმერთმა ხელი წაუმართოს!
შენგან გვფერობს ჭკუის სწავლა,
ჭკეყანაში კაცად გავლი!

ტატიკო (ალმასხანის, როტა ემოტრიალდება.)
კაციც შენ ხარ, ძმისა სწორო,
ვინძლო წელი გამისწორო!
ტაში-ტუში სახიანდარო,
აშ კვლავ უნდა გავიხარო!

მოიხმის ტუში.

არაში (ბაღდადით ხმალს უწერებს ალმასხანს.)
ვენაცვლე შენს მარჯვენასა,
შენს ბიჭობა გაჩენასა,
დიდი ხნისა ჩვენი ძმობა,
განა დეისებისგან დაიმხობა?
თუ მიკადრებ მეჯვარეთა,
გეყოლები მოყვარეთა!

ალმასხან (ნათელის მკაფიო გაუგრის)

ხვალ ქორწილში უფერების გვალებისას
ლიტინი გვმართებს სასულველი!

შეგლა ერთად: გაუმარჯოს აღმასხანისა,

მის მარჯვენას, ენას, ჯანსა...

სიმღერით შიტებიან. სეზანდარი ტუში უკავად.
ფარდა.

(გაგრძელება შემდეგ ნოტერში)



ზალვა ნესტორისძე ელიაძე.

წმინდა გიორგის ჯგრის კავალერი, შტაბს-კაპიტანი.
ახალ თონში, ბოლშევიკთა “ბრძოლისთან შეტაკებას დროს
მამაცურათ დაღუპული.

გურიის დედა-ქალაჭ ისულგეთის მცხოვრები იყო,
ლირიბისა და მშრომელ იჯაბის შეილი. უზრიანიში-ი-
ერი და იშვიათი ხასიათის, ყველასთვის საყვარული ყმა-
წვილი ჯერ კიდევ 19 წლის გერმანიასთან იმის დწყე-
ბის შემდეგ. საქალაქო სასწავლებლის დასრულებისას
მოხალისეთ ჩაწერა რუსეთის ჯარში-და რაინდობით
აღსავეს მეომარება. ური წლის განმავლობაში დასკო-ოს-
მალეთის, გერმანის, ავსტრიის და რუმინე-თის ფრო-
ნტშე, მონაწილეობა მიიღო მთავარ შეტაკებებში და
პრაპორჩიკის ჩანიდან ჯვრებით და სხვა ჯილდოვებით
აღჭურვილი ჰურტაბს—ვაპიტანთ გახდა იშვიათი მამაცუ-
რისათვის! მისმ, სამშობლომ რომ ქართველ მხედართ
მოუწოდა, აქეთ გამოიქან და განუწყვეტელ მუშაობას
ეწერდა ჩვენს ჯარებში. უკანასენელი ითვლებოდა მესა-
მე ქართველ მსროლელთა პოლკში და მეოთხე რო-
ტას ხელმძღვანელობდა. მონაწილეობა მიიღო სამეგ-
რელოში ბოლშევიკთა მიერ შემნილ აჯანყებოა და-
ცხრამაში. ამ ბოლო რჩის იშვიათი გამჭრიახობის-
თვის, მამაცურისთვის და ხაკირველი ხასიათის გამო,
ფოთის წითელგვარიდიმ-იგი თავის ტელადგანებული აი-
რჩია; მან დარიგებით დატოვა თავისი პოლკი და 200
მეომრით ახალ-ათონიდან 1000-მდე გახულინებული.
ბრძოლა გარეკა; გათამამებული დაედევნა ამ ბრძოს, რო-
მელსაც ძალა მოეკრიფა და მთაში ხელ და ხელ გა-
ჩაღებულ ომში იყი განგმირული დაეცა 19 ამათვეს,
ჯერ კიდევ 22 წლის ვაჟკაცი. მისი დაღუპვით ოჯა-
ხმა დაღუპა იშვიათი წევრი, ამხანაგების საყვარელი
ადამიანი და სამშობლომ-კი თავდადებული და შეგნ-
ბული შეილი. მისი სხვენა-არ დაიკარგება!

ახლობელი

აღსრულდა ნატერა დიდიხნის, გული ნეტერობს ლხენითა;
მწარედ ვიგონებ მწარ წარსულს, გულის ტკენით და წყენითა,
ჩაგრა, წამება სხვისებან, უჩვევი წყლული, იარა,
ვინ მოსთვლის ჩემმა სამშობლობ ჩა ტანჯვა გამოიარა!
მაგრამ ეხლა კი წყვდიადი, უასტ მიაქვს კრუოვა წყენითა,
და ჩემს სამშობლოს გულს იქრის, ნათელ ზე) უ-ქო-ფენითა,
გულში ნაგუბი ლილი ხნის, ბოლო, ნალველი ჰქენებიან,
და ჩემიანნი აღდგომას საღერით ევებებიან!..
იხარე, ჩემ ივერო, რომ აღადგინე უკლება,
დღეიდან ჩემთ საუნჯვა სხვა არგინ დაგეუფრ ება;
და პა, აღსრულდა დიდი ხნის, ნატერა, ხინატრი გულითა,
და მას შეც, ერის გოსანი, უგალობ სიხარულითა!

ପ୍ର. ଶାନ୍ତିକାନ୍ତେଲୀ

ԱՐԵՎՈՅ ՎԻՇՆԵ ՀԱ

(რომანი, ბრიუსოვის მიბაძვა). მეტად იხტევ

მხოლოდ ერთს კი ვინატრებდი, ვყოფილიყავ შენთან ერთად,
სიყვარული გარდაგვექმნა მარად სათნო, უცვლელ ღმერთად.
გულის სიღრმედამერჩილა შენს თვალთაგან შექმნილ ლამით
ბროლის მკერდზე მოგხვევოდი, დავმტკბარიყავ ხეტიან წამით
კოცნის ცეცხლით აღზნებულებს გულს გვი. რევდეს სუნთქვა
ხშირი,
გრძნობით მთვრალი ჩაგდებოდე: შენივარ და შენთვის ვტირი
სიყვარულის სამსხვერპლოზე თავი გვედოს გასაწირად
და ერთ სანთელს ვამზადებდე მისთვის მსხვერპლათ შესაწირად

32. 33. 3230803
(1878-1918)

ტანით პატარა, გულით დიაფი, სულით მაღალი,
ამ რა გავიფაქტე პირველად ვ. გობეჩია რომ ვნახე.

სკოლის სკამიდანვე ხალხის სასიკეთო მუშაობაში
ჩაბმული, გარაცებული პარტიული მუშაკი (სოციალისტ
რევოლუციონერი), ძველი მთავრობისგან დევნილი,
ფაზიზელი მთავროვნე ლევოლუციონერი და ნიჭიერი
ორგანიზაციულ-მოცავთა. — აი ვ. გომერია.

რევენის ქარტენილს — ალიხანოვა-გარიელის საჯელს და რუსთა მფიის ჟანდარმერიის სასტიკ დებნის-გან საზღვარგარედ გადაჩნილი ვ. გობეგია რევოლუციონურ რუსთს სათავეში მოექცა: პირველად დაინიშნა მე-7-ე არმიის კომისარის თანაშემწევე, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის და ბოლოს იმავე ფრონტის კომისარად, — სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაინიშნა საოლქო ნამჭელორ საზღვაო კომისარად, საზღვაო მინისტრად, უკანასკნელად — საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრად და საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარის ამხანგად. საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან ასესებულ ხელოფერების სექციის თავმჯდომარება მასვე მიენდო და ხელოფერების საქმეს სიკვარულით ეყიდებოდა.

მწერლობაში დიდხნიდანვე მონაწილეობდა და კა-
ლამიც ფხიანი ჰქონდა. მეორე სახემწიფო სათათბიროს
არჩევნების დროს საკუთარი გაზ. „მეტორი“ ჰქონდა
იღესაში, სადაც საკუთხევსო ძალი შემოიკრიბა გარე-
შემო; დიდ მონაწილეობას იღებდა გარდახვეწილთა
პრესაში გმოქენილ პოლტიკ. მოლვაწეებთან ერთად
გაზ. „იუგა“-ში, სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ თა-
ნამშობლომლობდა რესლ გაზ. „რესპუბლიკა“-ში და ბო-
ლოს თითონვე პირებდა გაზეთის გამოცემას,

მაგრამ ყველა ეს ღვაწლი რა იმ თვისებასთან
როთაც განსვენებული დაჯილდოებული იყო: იგი ჩ ნ
ვდენათაც ინტერნაციონალისტი იყო, იმდენად
თავის ერთ ერთგული შეილი, მეტად სათხო ადა-
მიანი, მომზადებული, სააღმენებელო უნარით აღჭურ-
ვილი და დიდის იმდების მომცემი...

და ეს ფრიდა სსასარგეპლო კაცი ომელიც ჩევნს
ნორჩ რქასუბლიკას², ვინ უწყეს, რაოდენ სიკეთეს მო-
უტანდა, მხეცურად მოჰკლა რევოლუციის სამის ტყვიით
ვინგე წულუკიებ ივნისის 19, მოჰკლა დანდობილა
დედასთან მჟავაიც შე გართულია...

და იმდენი სულდილობა გამოიჩინა განსცენებულმა, რომ ამანაგო დავლა ჩემს მკვლელს ხელს ნუ ახლებთ, იპ რა საზარელია ასეთი აბავი. და ნუთუ თავის უფალი რესპუბლიკანური საქართველო ვერ შესძლებს ასეთ სენისაგან განკურნებას...

ძეირთასო ვალოდია! მოკლე ხნისა იყო ჩეგნი ნა-
ცნობობა, მათაც გაუქრობელი ლამპარი აღანთ ჩემს
გულში, როგორც ჩეგნის სამშაბლოს თავისუფლების
ერთმა მეტცნალთაგანმა. ნუმც დასჭირდა ხსენება შენი. ამას არამარტო

* * * զի՞ր եցացի!.. այսպես է պայման, ոչ ու առնելով, թի առնելով, մռն և առնարն.

არ ბესმის?! უკრთ მიესმენა
შერაცხვლი აწ მიესყანა.

କଣ ଲାଭଗୁ ହେ ମେନ୍ଦ୍ର ଶେଷି
କଣ କଣ କଣ କଣ

ენოგრების ხდება ძალა ხავები.



ნინო ლომას-ასული ხარაუძე.

მოწყალების და, ჯანღონით სავსე ახალგაზდა 24 წლის ქალი. მოყვარული თავის სამშობლოს და ეგრეთ გატაცებული მოყვარული თავის ქვეყნისა უშიშრად და გულადათ პხვდებოდა ყოველივე განსაცდელს, რასაც ემსხვერპლა ქ. ბათუმში 29 ქრისტი. 1917 წ.

წერილი ხელოვნებაზე

საზამთრო სეზონის დამთავრების შემდეგ ქართული წარმოდგენება სპრინტ იდგმება ქართულ კლუბის ხცენაზე. რეპერტური არა ჩვეულებრივი. ორ კინადურია: დალატი, სამშობლო, ქოვეგან წამებული, დიდი მოურავი, მედევა და სხვ.

ასსრულება — კიორივის გარეშე.

უკულოდ როლების შესრულება, სტატისტების ჩრდილებით სისრული სცენაზე, სცენის კარიბიდან უცხო მაჟურებლების ჭარა... სრული დუ ზია იყარგება.

რევისურის ხელი სრულდა არა სხას.

შეიძლება თქვას, რომ ქართული წარმოდგენები ასე უფერულდა არასოდეს არ იდგმებოდა როგორც ამ დაორმინების სხისში.

ჩვენმა შეახილებმა ანტერრევოლუციას რო მოკიდეს ხელი, ტეხნიკურს შეასრის შესრულებისთვის იცნება მიეკითხ ეურადღება.

თუ შეისების აუტორი არ ეძრადებათ. მაუკუნელები მაინც შეიძრალონ.

კომი თვეში თოხუერ გნახოთ ქართული პიესა რიგზე შესრულებული, ვიდრე კორიაში სამარტინი და ისიც უფლად-უფარგისად...

მართალია ჩვენს მსხვილობა, გარდა სამი თხი შირის ტეხნიკა არა აქვთ შესწავლილი, მაგრამ ბუნებრივი ნიჭის მოქმებული არ არიან.

კარგი რეჟისორი უფლებობის შეიტანს წესრიგს ად წუწუნავის და ვალაკო შადიებში მიღიალის რეჟისორთანის დროს ჩვენ თეატრიდან უგმარევი-ლონი არ წამოჰქოლათ.

საჭირო საჩქაროდ მთისმთს ზემთხსენებული სამწესრო მოვლენა, თორებ დაგვიძრუნდება ის შევი დრო, როდესაც ქართველ კაცისათვის ქვდი რომ შაგგბდო ქართულს თეატრში, მათიც არ შევიდოდა.

1917წელს ენებისთვეში დაფუძნდა ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირი.

მისი უმთავრესი მიზნია ეროვნულ ჭიშვილის აღორძინება: ქართველ თრივისადური რეპერტურის და-დგმა, სიმღერა-გ დობის სასურველ დონზე დაეკ-ება, დოკტორების დამზადება და სხვა.

ამ კავშირის გარშემო მთიკრიბენ უკული ქართველი სპეციალისტი-მუსიკოსი.

ვიდრე კავშირი დასასედებოდა, ჩვენი სამუსიკო ხელობების შესწავლა, როგორც მშობლიურ ქიბის, თ თქმის სირცხვიად მისხდათ.

ესდა კი... გინ არ გინდა, სულო და გულო, რომ არ დოტერთდეს; საცა არ გაიხედა, უკული ამზადებს „ეროვნულ გუნდების“, დამასინჯებულ ჭიშვილზე. შედით, მაგალითად, ჩვენს განთავისუფლებულ ექლესიაში. მგალობელთა ბლავილი გულს უდონებს მთეწმენე გაცს. და გაღესის გარეშე ამ ჭობიებს ლოცვას, ვიდრე მეორედ შეგ შევდას.

და ნამდვილ საკედებო ლოტბართ: ს. სულხანიშვილის მ. ხაკაშიძეს და სს. თოფის გასრულების მინიჭებულ უშებენ კადენიაში და იწყებენ დოკტორად უკაც მირებს.

აუცილებლივ საჭიროა, კაშირის სპეციალისტთა კომისია დამოწმოს ცოდნა სალობრეროდ მსურველის და მისცეს მს შესაფერი მოწმობა. კომისორ არ უნდა პქნდეს უფლება დოკტორთანისა.

ამითი ალაგმებიან ის ცრუ დოტერთი, რომელთაც უფრთ ნივთიერი მხარე აინტერესებისთ და სამშობლო ხელობებას დაფინანსებას შემაგენ. ს. წერეთველი-

მ რ ॥ მ ე პ ე რ მ

კიმთუება (ამხანაგებს) პორფირიკი რა ქენი
ცოში მოცოდე?

პორფ. შე კაცო! რა ხანია მოცომე და
ჩავაკარ კიდევც; ახლა ამოკვრის ქე ვლამოფ!

კიმთ. რა ვუყოთ კაცო! ე ქვეილა რომ
კიდევ ეწიდა.

პორფ. რავა არ ეიწევს!

კიმთ. ე რაღ ცა ბალშენიკებია თა მაშე
ნიკები, ქმილს აღარ უშობენ იქთვენო!

პორფ. შაინც რა ქენი, შეაგულე საღმე?

კიმთ. შეგულება-თ ქე შევაგულე..., მარა .
ოცდა ექვს თუმანს ფეხი არ მოუცვლეს...
აგრე ქმინია ერთს შენახული ოცი მეშოკა...
მარა რა უნდა ქნა, კაცო, ე კვდარ ძილი
აგუნტები არ გიშობენ რო გაყიდო.

პორფ. რავა არ მიშობენ! შენ რაღას
უნობ კაცო! ალია და მუსი, ამ გამომცხვარ
პურით ვაჭრობს. ვერ უყურებ ამ კრაბმალიან
ბაზაზებს და ჩინონიკებს, ყველა ქე ყიდის ამ
გამომცხვარ პურის. არ გამოვა ერთი ჩეთვერი
ნ მან. ყიდიან. ჩვენ ხომ მეპურები ვართ.
ამა რა ე შმაკი უყოთ, ხო ვერ ვიქურდებთ?

კიმთ. რავა ბოკშივით ლაპარიკომ! ვინ
დაგიდევს, შეირი მოკვდები თუ არა? გეუბნე-
ბიან შენ ტაქციაზე უნდა გაყიდოვო!

პორფ. მეუბნებიან და... ჟეც ერთ კრას-
ალუებს ვიშოვნი, ევიჩრი ერთ კალათას და
დევიწყობ ქუჩა ქუჩა სიარულს. ვეტავი: მე-
პურე არა ვარ მეტე. მორჩა და ვათავდა

კიმთ. (სიცილით): აქა, შენ იქნები კა
შტანციი! ერთ ცალინდარსაც: მე ვიშოვნი
საღმე და გეიჩარება საჭმე.

პორფ. შენ გეიცინე და ჩხხავ, თუ შეგრე
არ მეეციცევი. ბერი! აპა, რო იხმა! მეპურების
გვეუბნებიან: ტაქციაზედ გაყიდეთ, თვარა ჩა-
გაზრდა-კოლებოთთ, სხვამ ქე ყიდოს არა უშა-
ვხო. სირჯებს ეუბნებიან: ღვიჩით ვაჭრობა
არ შეიძლებოთ და ისორე ვინ არ გინდა ჰყიდოს.
ბაზაზები ფართლეულობის შეგირად შებიანანს
და ლობის ჰყიდონ. ასე ვოქვათ, რომ თავის
სკეციალობაზე დღეს აღარვინ არ არის. აგრე
იმ დღეს გაზეთს კითხულობდენ სადღაც რუ-
სეთის ქალაქში, მებაღე მინისტრი გამხდაროს.

ი, დიდება შენთვის გამჩენო (ზირფანს იწერს)
რა დროებას შევესწაროთ...

კიმთ. მინისტრობა კი არა და!.. მე
რომ ზოგიერთ კამის-რება' ვიცნობ, ვინ შერ-
ცხვენილი იმათხე უკეთესი მე არ ვიყო...
მარა ეს თავი დავანებოთ ამ ყბედობას. წადი
ერთი : ეშოკა რამენაირად მოიტანე. მეც
პურს ამოვყრი.

კიმთ (ფულს იღებს დახდიდან) ვაი ღელა
ჩემო! ერთი მეშოკა 900 მან. (შემოიკრავს თა-
ვში ხელს და გადის) სანდრო ბაქანები

ს ე შ ა რ ე დ ლ გ მ შ ა რ ე ბ ა

(ეროვნლიანის ლექციის გამა)

ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ერთ პატარა, მაგ-
რამ მნიშვნელოვან მოვლენას აქვს ალაგი, რომელიც
ჯერ არცერთ ორგანოს არ აღუნიშნავს. ეს არის სუშათა
კულტურულ ცხოვრებაში ახალი სხივის შეშუქება,
კალი შევნების ზიარება. როგორც ეტყობა მთავრობის
პარტიის გადაუწყვეტია მასაში შეიტანოს ეროვნული
თვრთვამორჩვევა, ეროვნული შეგნება. ამ მიზნისთვის
სოციალურ ხასიათის ლექციების გარდა მას მოუწყვია
ეროვნული ხასიათის ლექციებიც. ეს მოვლენა ფრიცად
სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს ყოველ ქართველის-
თვინ. ჩვენ დიდიხანია ამას ვანტრობდით და შეძლების
დაგვარად, ყოველ გზა ჯვარე-ენზე გქადაგებდით;
ამხანაგებისაგან ბერი უსიმოვნებაც დავიმსახურეთ
მათი შეუგნებლობით, მაგრამ არ ცხოვრება თავის სი-
ნაძღვილეს ანხორციელებს და ჩქარა ურწმუნოს მორ-
წმუნედ გადაქცევს. მაშ გაუმარჯოს ერის პარტიას,
გაუმარჯოს მის ახალ გზას!..

ივნისის 17 ნამალადევის თეატრში ამხ. ეროვნ-
ლიანმა წაიკითხა ლექცია ქართულ მწერლების შესა-
ხებ. პირველი ლექცია მან უძღვნა ვაჟა-ფშაველას.
მწერალი აღიარო სახალხო მცირებათ და შემოქმედ
ხელოვანად. დასაწყისს სამწუხაროდ ვერ დავესწარი,
ამიტომ შინაარსს ამ წერილში ვერ აღვნიშნავ. საინ-
ტერესო იყო ლექციის დასასრულს ამხანაგების შეკი-
თხვა, რომელიც ლექციორმა საძებით დააქმაყოფილა.
საურადებოდ აღმოჩნდა აგრეთვე მუშების შეხელუ-
ლება ჩვენს ეროვნულ ხელოვნებაზე. მათი მსოფლ-
მხედველობით, კლასთა საკითხის და აოლიტიკურ
ეკინაზინის გარეშე ყველა ნაციონალურ საკითხად არის
თურმე მიჩნეული. ლექციის დასასრულ ზოგმა ისიც კი
აღიარო, რომ ერთ არ გვწამს და, მაშასადამე, არც
მისი ხელოვნება შეგვიძლიან გვწამდესო. როდესაც
აუსწეს, რომ ჩვენ სოციალიზმი გვინდა ცხოვრების
გასუმჯობესებლად და ეს უკანას უნელი კი ერს და
ეროვნულ საკითხს ვერ უარყოფსო, მათ ცხოვრების
გაუმჯობესება კუჭის საკითხით განსაზღვრეს. რო

პარტო კუჭის საკითხის დაკმაყოფილება პირუტყული ცხოვრებაა და ადამიანური ცხოვრება-კი სულიერი მოთხოვნილებითაც უნდა დაკმაყოფილდეს. უკანასკნელის სალარო-კი ერის ცხოვრება და მისი პრობლემებია, ამაზე მობალშევიკე მუშებმა მოპირდაპირეს პასუხი ვეღარ გასცეს.

მუშები განვითარებით ძალიან მოიკოჭლებენ. მათ ეროვნული საკითხი ნაციონალისტურ-შოვინისტურ საკითხი ჰგონიათ და ამრო მუშათ პროგრამის ეცხრე ჰუნკტს ოვითვე დალატობენ. ეს კი პარტიის დისკიპლინის დარღვევად უნდა ჩაითვალოს. ავიშუდებათ, რომ ჩვენ ეროვნული საკითხი ეროვნულდემოკრატულათ უნდა გვესმოდეს და არა ეროვნულ-შოვინისტურათ, ბურჟუაზიული წყობილება ბურჟუებს მუშების საექსპლატაციოდ უნდათ, მაგრამ ჩვენ კი სოციალურ ასოციაციათა განსავითარებლად გვინდა. ამის ვის ჩვენ ასეთ წყობილებას ვაღიარებთ და არ უარყოფთ. ასევე ითქმის ნაციონალურ საკითხები, თუ ის შოვინისტებს სხვა ერის დასაჩაგრად უნდათ, ჩვენ მის დემოკრატიულ ფარგლებში მოქცევით სულიერ დასაკმაყოფილებელ კლასთა ბრძოლის გასაღრმავებელ და განსავითარებელ საშუალებად გვინდა. ეს უკანასკნელი-კი ერთი უმთავრეს სახსართაგანია ჩვენი მიზნის მსახურებად.

მუშა მის. დევაძე-

მშენების ლემნიდა

(ძღვნად და-ძმათ ოლია და შალვა კალანდაძეებს)

დაღხნეს იტანჯებოდა მგოსანი მტარეა-ლის ხელში...

მგოსანმა რომ ხალხს სამსახური დაუწყო, ამით გააჯავრა მტარებორი...

ჯურლმულში ჩააგდო და ზემოდინ ჩინდა. ხა: „შენ, რომ ტანჯეაში ჰპოებ სიმოვნებას, მაში დასტურა მანდ!..“

იჯდა მგოსანი ჯურლმულში, დღე ში ერთ-ხელ მოჰქმნდათ ჰური და წყალი, თოკით ვიწრო ხერელში უშეებდნენ და უკანვე მიღიოდნენ...

მიღიოდნენ დღენიც ..

ერთ შევენიერ და ეს გამოიარა უმშეენიერება ქალწულობა შორის, ცისიამ, ჩიახედა ვიწრო ხერელიდან ჯურლმულში...

იქ მგოსანი ნარნარი ხმით ჰკლობდა მწუხრის ლეგენდას!..

ის ლეგენდა მან შევქმნა ეამსა ტევეობისას და ეტრატის უქონლობის გამო თვის გონებაში ღრმად ჩაიბეჭდა, ..

ცისიძმ დაუგდო უყრი, დანახა მგოსანი და შეიყვარა..

შეიყვარა ისე, როგორი ხევვარულიც კ.

შეეძლო მის სპეტაკ გულს, მის მაღალ სულს.-

მწუხრის ლეგენდის ხმები მდოსნის ტანი ჯვასა ჰებადედა ..

ცისი ყურს უგდებდა სანეტარო ხმებს, ესმოდა მათი ძალა და შინშენელობა...

ხმა თანდათან იქნებოდა... მიწური...

ძლიერ გასაგონად და ისმოდა... და ბოლოს მისწყდა...

მას შედეგ იგი ხმა ძლიან განმეორებულა.

კარგა ხანს იდგა ცისი ხველელთან მაგრამ ხმა ძლიან გაუგია...

მდოსნი გარიდაცვლილიყო...

გარდაიცვალი მდოსნი, ხოლო არ გარდა ცვლილ მისი ლეგენდა...

იგი არ გარდაცვლილა ისე, როგორც არ გარდაცვლილა ცესის მისდამი სიყვარული...

მწუხრის ლეგენდა ცესის ხსოვნაში ღრმად ჩაიბეჭდა ..

და მან მოჰყინა იგი მხოჭლიოს...

და მიტომ გალობს იმ ლეგენდის უკველ საღამოს მთის ნიდი..

ალ. ნეგრელი

სოხმიშვილი

დარდმა შეეძლო ეს გული,

ცული სიზმარი ვნახეო, —

ნუ აშიცხადებ სიზმარსა,

ლეგროო, შენ ზამინახეო!

ვეშაპი ვნახე პირლი,

ჯოჯოხეთს უფავ ს.ხეო;

ზოგშინდი, ძლიერ ზაგშ-ნდი,

ვახაქუევი გზა ვნახეო.

გზაიყო დალატიანი,

ყველგან დამიტედა მახეო,

ან ჩამყლაპავედა ვე ზაპი,

ან მ. მხერეპლებდა მახეო,

არც ახლო მყავედა მაშელი,

ვერც ვის შორს დაჟაბეო,

წამოვხტი შეშინებული,

პირევითი გ.დევისა, მ..

ვდარდობ; ვამე თუ გაცხადდეს,

რაც მე სიზმარი ვნახეო,

ვაშე, თუ მოვკვდა ბოლშითა,

უდროეოთ უაეიმარეო!

გახო აფიციური



ზალვა გაშაძე

სოციალ-ფულერალისტების რაზმის
ოფიციერი, ქადაგურელი, უგზა-
უკვლილ და კარგა მაშნართან ის-
მალებთან შეტაკებაში 10 აპრილს

მოწოდება

„თეატრი და ხოგრების“ მკითხველ-მეცნარნი შურნალის ბეჭდების დიდი ხარჯი უნდა. ვისაც გული შე-
გზივათ, ნივთიერი შემოწირულებით და ეხმარეთ, ყოვე-
ლი კაბეკი დიდის მაღლობით მიიღება და შურნალის გაუმჯობესების საქმეს მოხმარდება. შემოწირულება მიი-
ღება რედაქციაში თბილისში ბაზრის № 20.

შემოწირულება, უურ, თეატრი და ცხოვრების სახარებლოდ:

ქართულმა კლუბმა	500 გ.
1 ვ. ნ. შერაშენიძე —	10 გ.
2. ვ. გულიველი —	10 გ.
3. მ. ჭრელაშვილი —	10 გ.
4. გ. საძიკოვს	5 გ.
5. А. П. Саксаганский	5 გ.
6. И. Н. Галетянъ	5 გ.
7. И. А. Хвалисашвили	5 გ.
8. В. Л. Макаревичъ	5 გ.
9. М. И. Притутнева	3 გ.
10. А. Аслanova	3 გ.
11. О. С. Шичанина	5 გ.
12. И. Зайцъ	3 გ.
13. М. А. Гаспарянъ	2 გ.
14. Патлажанъ	1 გ.
15. А. Кочорянъ	1 გ.
8. ნინა ლასხიშვილი —	5 გ.
9. კ. ჩხერელი —	5 გ.
10. ა. ნ. ავალიშვილი —	5 გ.
11. სევ. პ. კაკაბაძე —	5 გ.
19. ა. დ. თობაძე —	3 გ.

სერვო გიორგისძე ნაკაიძე
მსახურებდა ქართველ ცხენოსან
პოლეში სპარსეთშის მხარეზე,
დღემდე დაკარგულ ათ ირიცხ-
ბოდა. შინ დაბრუნებულ მახთან
ტყვედ ყოფლთა სიტყვით, ცხარე
გრძოლაში დაჭრილმა ნაკაიძე 12
კაცი იმსხვერპლა, იგიც მოკლეს.

- | | |
|------------------------|-------|
| 17. ა. ამირეჯიბი — | 5 გ. |
| 18. ბიჭიკო დარჩია — | 3 გ. |
| 19. ბ. მ. ჭრელაშვილი — | 3 გ. |
| 21. ა. არუთინოვი — | 2 გ. |
| 24. თ. ლ. მამაშვილი — | 3 გ. |
| ლუკა ქაქერაშვილმა | 50 გ. |
| ირ. ბილანიშვილმა | 80 გ. |
| მიხ. მამულაშვილმა | 50 გ. |

შემომწირველთ უგულითადეს მაღლობას უძღვნით
სხვა შემომწირველთა სის შემდეგ ნომერში დაგენერიკავთ.

შეცდომები პეტაში „ბენიერი ქალი“; № 5,
10 გვ. ქვევიდამ 1 სტრიქ. დაბეჭდილია: „ბედნიე-
რობს“, უნდა იყოს „კანიერობს“, 18 სტრიქ. და-
ბეჭდილია „მოდებებს“, უნდა იყოს: მადებეს
ექვებს“, იმავ პირზე, შემდეგ ჩიგზე, 3 სტრიქ. დაბეჭ-
დილია „ჯიური“, უნდა იყოს; „ჯავრს იყრის“.

№ 6, მე 11. 16 სტრ. ქვევიდამ: დაბეჭდილია:
„შიმშილით მოვავდება“, უნდა იყოს: „შიმშილით
არ მოვავდები“, 12 გვ. შემდამ 5 და 6 სტრიქ.
დაბეჭდილია: „გავიდე“, უნდა იყოს: „გავიდეს ირინე“
იმავ გვირდში, ქვევიდამ 13 და 14 სტრ. დაბეჭდილია
„ვაწნაღმდევები ტკალ“, უნდა იყოს: „ვეწინაღმ-
დევები ტკალ“.

№ 7, მე 11 გვ. ქვევიდამ 6-8 სტრ. დაბეჭდილია:
„ხომ შემეძლო მეჩილა, იმითო ფული ამდედ და ოქვენ
გლახათ დარჩებოდით. მე-კი... ეს სიტყვები სულ უნდა
გამოიშვას.“

ამ ნომერში მესამე გვეტდებ მოთავსებულ წერილს.,
გერმანია და საქართველო — ში მეორე სვეტში და-
ბეჭდილია: სხვა ამას ხელს უშლის „უდაიყოს. ჩვენი
საკულტოს ქანონი ამს ხელს უშლის. ცოტა ქვემოთ
დაბეჭდილია: „...თავისიუფლების დაცვაზე ფიქრი მეტია“
უნდა იყოს: თავისიერების დაცვაზე ფიქრი მეტია.“

უცხო სიტყვათა ლექსიკონი დაბეჭდა,
რეაქტუა-კარიკატურა: იოსებ იმედაშვილი ი